

NATELA GRIGALASHVILI



არამგონია ვინმე შეშვდავოს, თუ ვიტყვი, რომ დღეს ფოტოგრაფიის ოქროს საუკუნეა. პოსტმოდერნიზმმა გააუქმა იერარქია არა მხოლოდ ფანრებს შორის, არამედ ჩამოშალა ყოველგვარი ვერტიკალი მთავარსა და მეორეხარისხოვანს, პროფესიონალურსა და სამოყვარულოს შორის. თამაშის წესების ცვლილებამ ხელოვნების უნის ცვლილებაც გამოიწვია. მაგალითად, ფოტოგრაფიის ეს საუკეთესო პერიოდი, როდესაც სურათის გადაღება თითქმის ყველას შეუძლია, თავად ფოტოგრაფებისთვის არაერთი პრობლემის წყარო გამხდარა. კამერას პოტენციური პერსონაჟები ახლა სრულიად სხვაგვარად უყურებენ, სხვა მოლოდინები და მიზნები აქვთ ერთ დროს მებუნებრივ მანქანად წოდებულ აპარატის მიმართ.

მაგრამ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ემოციითა ეს ინფლაცია საერთოდ არ ამიწებს ჩემს რესპოდენტს, ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ ქართველ ფოტოგრაფს ნათელა გრიგალაშვილს. ის ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც „ყველამ დაიწყო გადაღება“, მისი საქმე გაიოლდა, რადგან კამერას უცხო საგნად აღარ აღიქვამენ, რაც მას უადვილებს გადაღების დროს „შეუმჩნევლად“ დარჩენას.

ასეთი პასუხი ჩემთვის მიულოდნელი იყო. რატომღაც მეტ სიმბაფრეს ველოდი ადამიანისგან, რომელიც, როგორც წესი, არც თუ ისე იოლ ცხოვრებას აღბეჭდავს ფიზზე. ნათელა გრიგალაშვილი უამრავი ასეთი მიულოდნელობით აღსავსე აღმოჩნდა. მისი პერსონაც, შესაბამისად, არ ჯდება არც ერთ დანეროლ თუ დაუნეროლ კანონში, რისი დაცვაც დღევანდელ არტისტებს მოეთხოვებათ: არ აქვს გლამურული შედგენილობა, არ იცვამს პიპსტერივით, არ დადის მოდერ ადგილებში. მე ვიტყვოდი პირიქით, ცდილობს ხაზი გაუსვას, რომ სხვაინარია და დაიბადა სოფელ თავვეთში. სიაზოვნებით ნავიდოდა მასწავლებლად გარკვეული პერიოდით აჭარის მალაშვილიანეთში, ხულოს რაიონის ლორჯოშში. იქ და კიდევ რამდენიმე მსგავს, ცენტრისგან მოწყვეტილ ადგილას ფოტოკლუბები აქვს დაარსებული, სადაც ადგილობრივებს, როგორც თვითონ ამბობს, ხელოვნების კეთებას ასწავლის. საუბარსაც სწორედ მისი შემოქმედების მთავარ ასექტებზე - კულტურისა და ბუნების შესახებ ვინყვებო. გრიგალაშვილის ობიექტივში ხვდება ყველაფერი, რაც



დაშორებულია თავკომბალა თბილისს, პროვინციულ, თუმცა მაინც კულტურულ და პოლიტიკურ მეტროპოლიას (მაგალითად, შემდეგი პროექტები: „ცხოველების მარკეტი“, „თავგების მიწა“, „პანკისის ხეობის ქალები“ და სხვ.) ის ახალი დაბრუნებულია გოროლოგივიდან, სადაც სოფლის მდინარეს იღებდა - ან უკვე ეკოლოგიური კატასტროფის ვერას. ამბობს, რომ ცივილიზაცია, ანუ ახალი დროება, აბინძურებს ადამიანის ურთიერთობების ეკოლოგიასაც. მისი პროექტისი წყარო კი მხოლოდ ადამიანებია, მათი ცხოვრება, ყოფის ასახვა. დაბინძურებულ მდინარეზე საუბრისას იმდენად იღვნება, რომ ვხვდები, გოროლოგის მდინარე კულტურისა და ბუნების კონფლიქტის მეტაფორა - კონფლიქტის, რომელიც მისი შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი თემაა.

„ცველაზე ცუდი გულგრილობა“, - მეუბნება და ვხვდები, რომ მისი შემოქმედების მამოძრავებელი ძალა ისეთი „დაკონსერვებული“ კუნძულების მოძიებაა, სადაც ემოციები და ურთიერთობები კერ კიდევ არ გახუნებულა. — „როდესაც პირველად მოვინახულე მაღალმთიანი აკარა, აღმოვაჩინე, რომ იქ ბევრი ისეთი რამ იყო შემორჩენილი, რასაც ბარში ველარ შეხვდებით. ახლა კი იქაც დიდი ცვლილებების ეპოქა იწყება, მაგალითად, როცა ვეკითხებოდი, რომელი დრო სჯობდა, ქალები მასუსობდნენ, რომ ახლანდელი გოგოები და ბიჭები ერთმანეთს ტელეფონებით იცნობენ, მათ კი ქმრები პირველად ქორნილი ნახეს. მაგრამ პროგრესი იწყებს იმასაც, რომ მოსახლეობა სოფლებს ტოვებს. ხანდახან მგონია, რომ მომავალ წელს შეიძლება იქ აღარავინ დამხვდეს“.

შვიან ოთახში ვსხედვართ. მირიამი, ნათელას შვილი და მისი მენეჯერი, მარტო გვტოვებს. ზოგადი საუბარი, რომელიც შეეხებოდა თანამედროვე ქართულ ხელოვნებას, ფოტოგრაფიის კრიტიკის არარსებობასა და სამულერგარეთ გამოფენის მოწყობის სირთულეებს, მის შემოქმედებაზე გადაწყვეტს. კომპიუტერის ეკრანს პატარა ფოტოები იკავებენ. იმისთვის, რომ მათი გარჩევა შევძლო, ნათელა დგება და ფანჯრებზე ფარდებს აფარებს. ფერმკრთალ ფოტოებს საკუთარი გამოშსახველობა უბრუნდებათ, ის სპეციფიკური ფერები და შექ-ჩრდილები, რომლებიც გრიგალაშვილის ფოტოებისთვის არის დამახასიათებელი. ნათელა „ამარტა“-სთვის გადარჩეულ საქალაქდეს მათვალთვლებინებს. იქ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადაღებული ქალების სურათებისთვის მოუყრია თავი. ვუყურებ ფოტოებს და მახსენდება, რომ მის შემოქმედებაში დიდი ადგილი ქალებსა და ბავშვებს უჭირავთ. ავღნიშნავ ამ გარემოებას და თითქოს პირველად დაფიქრდება ამაზე, პაუზის შემდეგ მკასუხობს, რომ კაცები ნაკლებად საინტერესონი არიან (ყოფილან) მისთვის. „არის ადგილები, სადაც ქალის გადასაღებად ნებართვის აღება ვაყისგან მჭირდებოდა. ამ დროს, მაგალითად აჭარაში, მთელი მეურნეობა ქალების მხრებზეა. ისინი დილის ოთხ საათზე დგებიან. მათი დილა ოცდაათი ძროხის მონველით იწყება და დაღამებამდე საქმეები არ ელევათ. მუსტად იგივე საქმეები ელოდებათ ხვალისთვის, მეგისთვის და ა.შ. ამას თან ერთვის ცხოვრების მომთაბარე წესიც, წელიწადში რამდენჯერმე უნვეთ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა და გადაბარება. მათი ყოფა ნამდვილად მძიმეა, თუმცა არის დღესასწაულები, რომლებზეც გაყოფილი ოჯახები, ნათესავები და შებოზები იკრიბებიან. როცა ამ დღეობების გადასაღებად წავიდი, დავინახე, რომ მთიდან მოსული ქალები, რომლებსაც სამუშაო ტანსაცმელი ეცვათ, სახელდახელოდ აშენებულ ოთახში შედიოდნენ და იქიდან ნაირნაირ კაბებში გამოწყობილები ბრუნდებოდნენ. მათ ძალიან ცოტა დრო აქვთ მოსალხენად, ამიტომ



არ ერიდებიან მაქსიმალურობას, თავისმონონებს ამ გულუბრყვილო სილამაზით". ვხედავ, როგორ მაკვირდება და მაჩნევს მსუბუქ გაოცებას. რატომღაც ველოდი, რომ ის, ყველა დამკვიდრებული კლიმეს გათვალისწინებით, მოყვებოდა უკვე ათასჯერ გაგონილ ტექსტებს, რომ რეგიონებში განსაკუთრებით შიშველ ყოფაა, გაჭირვება, რთული სოციალური ფონი და ა.შ. ჩემი ინტერპრეტაციით, გრიგალაშვილისშიერ ადამიანების სახეებზე ყოველთვის იდუმალი სევდაა ასახული, მიუხედავად ფერადოვნებისა თუ საზეიმო განწყობისა. ასეა თუ ისე, აშკარა იყო, რომ ფოტოგრაფი სხვანაირად ფიქრობდა და სწორედ ამ დროს გავიპოვე ხელოვანის მშერის უნიკალურობის არსი - ის, თუ რა გამოარჩევს ნათელა გრიგალაშვილის ხედვას სხვა ათასობით ადამიანის მშერისგან - ეს არის ბანალურობის აუტანლობა. გაკვირვებული იმით, თუ როგორ ვერ შევამჩნიე თავიდანვე მისი მოდელის სილამაზე და სილალე, მისხნის, რომ რთული პირობების მიუხედავად, ყველას თავთავიანთი, პატარ-პატარა ბედნიერებები აქვთ. თან დელიკატურად იმაზეც მიმანიშნებს, რომ სწორედ წინასწარგანწყობების არარსებობის დამსახურებით უშვებენ ამ დახურულ და ხშირად ძალიან ინტიმურ სამყაროში. თურმე მას ხშირად ეუბნებიან: შენ არაფერი გიკვირს, ჩვენი ყველაფერი იცი და გესმისო. ფოტოგრაფსა და მის გმირებს შორის არსებული სწორედ ეს კორიზონტალური დამოკიდებულება იცავს ნათელა გრიგალაშვილის შემოქმედებას, როგორც ეგზოტიზაციისგან, ისე კიჩისგან. „დოკუმენტურ ფოტოგრაფიაში მთავარია ამჩნევდე, მაგრამ სხვებისთვის შეუმჩნეველი რჩებოდე. ამას ცნობისმოყვარეობა განაპირობებს, რის გარეშეც ფოტოგრაფი ვერ იარსებებს. თუმცა, ყოფილა შემთხვევები, როდესაც მიმშენებლოვან მომენტს შევსწრებოვარ, მაგრამ გადაღება დამეჩინებია, რადგან იმ ამბის თანამიარებას





გავეტაცე, ადამიანები და მათთან ურთიერთობა ძალიან ძვირფასია ჩემთვის. როდესაც ექსპედიციიდან ვბრუნდები, ვამბობ, რომ 50%-ით გავმდიდრდი ფოტოებით და დანარჩენი 50% ადამიანებით, რომლებიც იქ გაეცაინი". ჩემს წინ მუდომ პიროვნებას ვერ დავარქმევთ სიტყვატუნს, მაგრამ მის ლაპარაკში გარკვეული სიღრმე იგრძნობა. სურათებიც ხომ ასეთი აქვს, ულამაზეს ადგილებს იღებს, ულამაზესი ხალხით, საოცარი ფერებითა თუ კომპოზიციით, თუმცა მათ ვერც კალენდრების გასაფორმებლად გამოიყენებ და ვერც სარეკლამო განცხადებების ფონად. გრიგალაშვილის მიერ მთელ საქართველოში შეგროვებული „კულტურცილო სილამაზე“ ყველაფრისგან განსხვავებული და უნიკალურია. როგორი ახსნაც არ უნდა მოვეუბნოთ მის შემოქმედებას, უდავოა, რომ ის ცხოვრებაზე ნადირობს და არა წვინტილიან თუ ხალისიან ისტორიებზე, მოდურ თემებსა თუ მშვენიერ პეიზაჟებზე.

P.S. ვათვალისწინებ ფოტოებს და ერთ-ერთზე ვჩერდებით, საკლასო ოთახში, სკამზე, ძალზედ მორთული კაბით გოგონა მის, რომელსაც თავზე არანაკლებ გამონყობილი თანაკლასელები და მათი მასწავლებელი ადგანან. ყველა ერთ წერტილში იყურება. თუ რას უყურებენ, ეს ჩენთვის უცნობია. თურმე იმ დღეს, პანკისის ამ ერთ-ერთ სკოლაში, კლასების ალბომის გასაკეთებლად საგანგებოდ მოეწვიოთ ფოტოგრაფი. საუბარს ვაგრძელებთ პანკისის ხეობაში მცხოვრებთა ყოფასა და ყოველდღიურობაზე, და იმაზეც, რომ ასეთ ალბომებს უკვე აღარავინ უკვეთავს. ამაზე ნათელია გრიგალაშვილი საკუთარი ისტორიის მოყოლას იწყებს: „როდესაც ფოტოგრაფობას ვიწყებდი და მომავალზე ვფიქრობდი, თუ როგორ უნდა მერჩინა თავი, მეგონა, რომ ეგრედწოდებული გამსვლელი ფოტოგრაფი გახდებოდი. ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებიც ფოტოაპარატით დადიოდნენ სოფლებში, დაბებსა და ქალაქებში იმისთვის, რომ გადაეღოთ დღესასწაულები, მნიშვნელოვანი ღონისძიებები და ა.შ. უპირველეს ყოვლისა, ეს მოგზაურობის საშუალებას მომცემდა, რისი ძალიან დიდი სურვილიც მქონდა. ისე გამოვიდა, რომ ახლაც ბევრს ვმოგზაურობ, თუმცა „გამსვლელი ფოტოგრაფები“-სგან განსხვავებით, სურათებს შილოდ ჩემთვის ვიღებ“.

გიორგი რაზმაძე

